

1.3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საქმიანობის შესახებ 2016 წლის ანგარიში

- ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების შემუშავების პროცესი

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო განაგრძობს მუშაობას ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივებთან შესაბამისი ეროვნული ტექნიკური რეგლამენტების შემუშავებაზე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს №1140 განკარგულებით დამტკიცებული "სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის დამტკიცების შესახებ" პროგრამით (შემდგომში - საქართველოს მთავრობის პროგრამა) გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში.

ამასთანავე, აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში საქართველომ ასოცირების ხელშეკრულების მიღების შემდეგ 4-8 წლის პერიოდში უნდა მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული 16 ახალი მიდგომის დირექტივის ინკორპორირება საქართველოს კანონმდებლობაში (დირექტივები განსაზღვრულია, როგორც ასოცირების ხელშეკრულების 3A დანართით, ასევე საქართველოს მთავრობის პროგრამით).

- საკანონმდებლო საქმიანობა

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) მიერ შემუშავდა და სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში ტექნიკურ კომიტეტზე წარდგენილ იქნა განსახილველად და დასამტკიცებლად შემდეგი სტანდარტების ახალი პროექტები :

- საქართველოს სტანდარტი „ნახშირის შახტების უსაფრთხოების შესახებ“;
- საქართველოს სტანდარტი „კარიერების უსაფრთხოების წესები“.

ვინაიდან 2016 წელს სააგენტოში დაინერგა ინტერაქციის ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემა, რომლის მეშვეობითაც სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვების გაცემა შესაძლებელი იქნება ელექტრონული ფორმით, გამომდინარე აქედან შემუშავდა და დამტკიცდა შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვის ელექტრონული ფორმით გაცემის, გაცნობის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 ოქტომბრის N 459 დადგენილება.

2. „სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტებისა) მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმების, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 15 ოქტომბრის N1-1/1862 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 21 ნოემბრის N 1-1/648 ბრძანება.

ასევე მომზადდა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 ოქტომბრის №474 დადგენილებით დამტკიცდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

აღნიშნული ცვლილების შედეგად მოძრავი გაზგასამართი სადგურის კლასის განსაზღვრა მოხდება სადგურზე დაგეგმილი მშენებარე ობიექტების კლასის მიხედვით. რითაც გათვალისწინებული იქნება მეწარმის ინტერესი და თავიდან იქნება აცილებული მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო რთული პროცედურები, კერძოდ, სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობა და საექსპერტო დასკვნების წარმოდგენის ვალდებულება. ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მცირე წარმადობის გაზსადენი და მაგისტრალური გაზსადენის გაზგამანაწილებელი სადგური არ ხასიათდება მაღალი რისკის ფაქტორებით, ხორციელდება მათი დაყოფა მახასიათებლიდან გამომდინარე და ეცვლება კლასი. ამავე პროექტის მიხედვით აღარ მოხდება ჰაერის დაყოფის პროდუქტების მომხმარებელი საწარმოების V კლასის ობიექტად მიკუთვნება, რადგან მათში არ მიმდინარეობს საშიში საწარმოო პროცესები და შესაბამისად არ მოხდება V კლასის ობიექტებისათვის დადგენილი 3 ეტაპიანი ნებართვის გაცემის პროცედურის გავლა.

ამასთანავე, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში მომზადდა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის პროექტი, რომლითაც განისაზღვრა ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები და შესაბამისი სანქციები, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესების მიზნით.

ასევე, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის ჩამოსაყალიბებლად, ევროკავშირის ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შორის საქართველოში იმპორტირებულ პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტურად განხორციელების მიზნით.

შემუშავდა ახალი მიდგომის ევროდირექტივის 2014/34/EU ფეთქებად გარემოში მომუშავე მოწყობილობებისა და სისტემების შესახებ შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის პროექტი.

მშენებლობისა და ტექნიკური უსაფრთხოების კუთხით განხორციელებული ღონისძიებები

2016 წლის განმავლობაში შემოწმებულ იქნა შემდეგი მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტები:

ამწე მოწყობილობა - 51;

ლიფტი - 734;

მათ შორის: ბაზარზე ახლადდამონტაჟებული ლიფტების განთავსებისას ტექნიკური დათვალიერების შედეგად - 325.

- ესკალატორი - 14;
- საბაგირო მოწყობილობა - 6;
- წნევის ქვეშე მომუშავე ჭურჭელი - 19
- ატრაქციონი - 6
 - ფუნქულორი - 1
- შახტი -3;
- კარიერი - 64;
- მადარო - 11;
- აირსავსები და აირგასამართი სადგური - 89;
- მაგისტრალური გაზსადენი - 2;
- ნავთობბაზა - 1;
- იარაღითა და საბრძოლო მასალებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა- 24;

განხილულ იქნა:

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების და ობიექტების გაზომვარაგების ტექნოლოგიური ნაწილის პირველი და მეორე სტადიის პროექტები - 62 პროექტი;
- აირგასამართი და აირსავსები სადგურების მშენებლობის პროექტები - 11;
- ნავთობის ბაზის მშენებლობის პროექტი - 4;
- მაგისტრალური გაზსადენის პროექტი - 2;
- მაგისტრალური ნავთობსადენი -1.

გაცემული იქნა სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების - 15 ნებართვა. სანებართვო მოსაკრებელმა შეადგინა 600 ლარი.

ტექნიკური ინსპექტირების შედეგად უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის 63 080 ლარით დაჯარიმდა 85 ობიექტი.

ამავე პერიოდში სამშენებლო კუთხით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- გაიცა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების - 94 ნებართვა, მათ შორის 10 მშენებლობის თაობაზე შეთანხმება (სანებართვო მოსაკრებელმა შეადგინა 704 798 ლარი);
- შეთანხმდა IV კლასის ობიექტი - 325;
- მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობა განხორციელდა 82 ობიექტზე;
- არქიტექტურულ – სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო დაჯარიმდა - 37 ობიექტი. ჯარიმის საერთო რაოდენობამ შეადგინა - 198 250 ლარი;
- ექსპლუატაციაში იქნა მიღებული - 42 ობიექტი.

დასრულდა გეოინფორმაციული სისტემების დანერგვა, რომლის ფარგლებშიც დაინსტალირდა სერვერული პროგრამული უზრუნველყოფა, შეიქმნა სერვერული გეოინფორმაციული ბაზა და მომხმარებლისთვის შიდა გის პორტალი (ინტერაქტიული რუკა). მიმდინარეობს ზემო აღნიშნული გეოინფორმაციული ბაზის ყოველდღიური განახლება სააგენტოში შემოსული სივრცითი მონაცემებით, რაც ასევე ავტომატურ რეჟიმში აისახება გის პორტალზე.

ამასთანავე, დასრულდა ინტერაქციის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის ინსტალაცია, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას, კერძოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობის და სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვების ელექტრონულ გაცემას.

მიმდინარეობს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უწყებრივი რეესტრის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პორტალის შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირება და შესაბამისად თითოეულ ასეთ ობიექტზე ინფორმაციული სივრცის შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება აკრედიტირებული ინსპექტირების ორგანოების მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ მონაცემების, ასევე ობიექტების მიმართ გატარებული სანქციების შესახებ ინფორმაციის ატვირთვა-შეგროვება.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები¹

1. ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების პრინციპების გათვალისწინებით შექმნილია შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის პროექტი;
2. ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით დანერგილი პროდუქტის უსაფრთხოების შემოწმების ახალი მიდგომების და პრინციპების ასახვა შესაბამის ნორმატიული აქტების პროექტებში;
3. სააგენტოს საზედამხედველო ობიექტებზე გაუმჯობესებული უსაფრთხოების მაჩვენებელი.

მიღწეული საბოლოო შედეგები²

1. მომზადებულია ევროდირექტივის 2014/34/EU ფეთქებად გარემოში მომუშავე მოწყობილობებისა და სისტემების შესახებ შესაბამისი ქართული ტექნიკური რეგლამენტის პროექტი;
2. მომზადებულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის პროექტი;
3. სააგენტოს საზედამხედველო ობიექტებზე გაუმჯობესებულია უსაფრთხოების მაჩვენებელი – წინა წელთან შედარებით შემცირებულია უბედური შემთხვევების მაჩვენებელი, 2015 წელს

შახტებში, მადაროებში და მღვიმეებში მოხდა - 3 უბედური შემთხვევა, ხოლო 2016 წელს შახტებში და მადაროებში - 2 უბედური შემთხვევა.

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი³

1. საბაზისო მაჩვენებელი

ტექნიკური უსაფრთხოების სფეროში მიღებულია 5 ევროდირექტივასთან დაახლოებული ტექნიკური რეგლამენტები.

1.1. მიზნობრივი მაჩვენებელი

2014/34/EU ფეთქებად გარემოში მომუშავე მოწყობილობებისა და სისტემების შესახებ ევროდირექტივასთან დაახლოებული ტექნიკური რეგლამენტის პროექტის შემუშავება.

2. საბაზისო მაჩვენებელი

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში, რომელიც შემუშავდა პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების შესახებ ევროკავშირის დირექტივის შესაბამისად, ასახულია მწარმოებლის, დისტრიბუტორის, იმპორტიორის უფლება-მოვალეობები და ბაზარზე ზედამხედველობის ზოგადი პრინციპები.

2.1. მიზნობრივი მაჩვენებელი

მომზადებულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის პროექტი;

3. საბაზისო მაჩვენებელი

- 2015 წლის უბედური შემთხვევების მაჩვენებელი: შახტებში, მადაროებში და მღვიმეებში მოხდა - 3 უბედური შემთხვევა.

3.1 მიზნობრივი მაჩვენებელი

- უბედური შემთხვევების პოზიტიური დინამიკა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი⁴

1. 2014/34/EU ფეთქებად გარემოში მომუშავე მოწყობილობებისა და სისტემების შესახებ ევროდირექტივასთან დაახლოებული 1 ქართული ტექნიკური რეგლამენტის პროექტი;
2. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის პროექტი;
3. წინა წელთან შედარებით შემცირებულია უბედური შემთხვევების მაჩვენებელი, 2015 წელს შახტებში, მალარობში და მღვიმეებში მოხდა - 3 უბედური შემთხვევა, ხოლო 2016 წელს შახტებში და მალარობში - 2 უბედური შემთხვევა.